



ადმონავალიტის ვარტნირობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



## მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 24 თებერვალი, 2016 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნუკრი ყველაშვილი - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ახალგაზრდული ალტერნატივა
2. ნინო ტლაშაძე - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ადამიანის უფლებათა ცენტრი
3. მარინე სოლომონიშვილი - საერთაშორისო ფონდი „ლეა“
4. ნაირა ბეპიევი - „კავკასიური მოზაიკა“
5. იულია ხარაშვილი - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“
6. გიორგი ჭილაძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო

### სკაიპით ერთვებოდნენ:

7. მერი გელაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი
8. ნანული რამიშვილი - პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყარო“
9. ალლა გამახარია - კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

მოწვეული სტუმარი: ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ლიბერალური აკადემია თბილისი, დირექტორი

## განსახილველი საკითხები:

- ეროვნული პლატფორმის მე-4 სამუშაო ჯგუფის 2016 წლის სამოქმედო გეგმაში ჯგუფის წევრების მიერ ინიცირებული შესწორებების განხილვა და მისი საბოლოოდ დამტკიცება;
- ქვეჯგუფებში გადაწყვეტილების მიღების პროცედურებისა და წესების განხილვა;
- გენდერულ და ქალთა მეინსტრიმინგის საკითხებზე მომუშავე ჯგუფთაშორის ქვეჯგუფის შექმნის ინიციატივის განხილვა;
- „განათლებისა და მეცნიერებისა“ და „კონფლიქტების ტრანსფორმაციის ქვეჯგუფის“ კოორდინატორების არჩევა;
- სხვა.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად ჯგუფმა განიხილა ქვეჯგუფებში გადაწყვეტილების მიღების პროცედურები და წესები. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველოს წარმომადგენელმა, ბატონმა გიორგი ჭილაძემ წარადგინა ინიციატივა ცვლილები შევიდეს წესდების მე-8 მუხლში, კერძოდ 8.9 ნაწილში შემდეგი რედაქციით:

1. ქვეჯგუფის კოორდინატორობის კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს CV და ქვეჯგუფის სამუშაო გეგმა, რომელიც თანხვედრაში უნდა იყოს ჯგუფის სამოქმედო გეგმასთან და ასახავდეს ზოგად მიზნებს, მეთოდებსა და მიდგომებს, სამოქმედო გეგმის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე განხორციელების შესაძლებლობებს, ასევე სამუშაო გეგმა უნდა შეიცავდეს შესაბამისი მიზნებისა და აქტივობების ჩამონათვალს;
2. ქვეჯგუფის კოორდინატორს ფარული კენჭისყრით ერთი წლის ვადით ირჩევს ქვეჯგუფი;
3. ჯგუფი ისმენს ქვეჯგუფის კოორდინატორის ყოველწლიურ ანგარიშს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, ბატონმა ნუკრი ყველაშვილმა წამოაყენა წინადადება ელექტრონული ფორმით მოხდეს ქვეჯგუფის კოორდინატორის არჩევა. მან ასევე შესთავაზა ჯგუფის წევრებს ქვეჯგუფის კოორდინატორმა წლიური ანგარიში წარადგინოს საერთო კრებაზე.

რამდენადაც პროცედურულად წესდებაში ცვლილების განხორციელება საერთო კრებისთვის ვერ ესწრება, ჯგუფმა საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება ქვეჯგუფის წარმომადგენლებმა თავად აირჩიონ ქვეჯგუფის კოორდინატორი სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე თუ კი ქვორუმის შესაძლებლობა იქნება, ან გამოიყენონ ელექტრონული კომუნიკაციის სისტემა და ელექტრონულად მოხდეს კოორდინატორების არჩევა.

სამუშაო ჯგუფმა შემდეგ საკითხად განიხილა გენდერულ და ქალთა მეინსტრიმინგის საკითხებზე მომუშავე ქვეჯგუფის შექმნის ინიციატივა. რამდენადაც პირველ სამუშაო ჯგუფში უკვე არსებობს საინიციატივო ჯგუფი, რომლისაც აქვს სურვილი იმუშაოს აღნიშნულ

საკითხზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის შემდეგ განიხილონ ჯგუფთაშორისი ქვეჯგუფის ჩამოყალიბების ინიციატივაც. საკითხთან დაკავშირებით ბატონმა გიორგი ჭილაძემ, აღნიშნა რომ ჯგუფთაშორისი ქვეჯგუფის ჩამოყალიბების შემთხვევაში, წესდებაში ცლილების შეტანა გახდება საჭირო.

შემდეგ საკითხად დამსწრეებმა განიხილეს მეოთხე სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმა. ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველოს წარმომადგენელმა, ბატონმა გიორგი ჭილაძემ გააჟღერა წინადადება, სამოქმედო გეგმაში შევიდეს მცირე კორექტირება, რაც ჯგუფის კოორდინატორმა შეხვედრის მიმდინარეობისას გაითვალისწინა და ბატონი გიორგის მიერ დასახელებული საკითხები შეიტანა სამოქმედო გეგმაში. მან ასევე განიხილა ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასიის“ წარმომადგენლის, ბატონი ალუ გამახარიას მიერ ინიცირებული საკითხები და ჯგუფში მიიღეს გადაწყვეტილება შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი, რომელიც წარადგენს ბატონი ალუს წინადადებას, ხოლო ჯგუფის კოორდინატორი აღნიშნულ ინიციატივას გაიტანს საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე განსახილველად.

შეხვედრის მიმდინარეობისას პლატფორმის თავმჯდომარემ ისაუბრა ქვეჯგუფების ჩამოყალიბების სტრუქტურასა და სამუშაო პრიორიტეტებზე. მან ასევე განიხილა საერთო კრების პროცედურული საკითხები. ბატონმა ლაშა ტულუშმა ჯგუფის წევრებს წარუდგინა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან დაგეგმილი მემორანდუმის ხელმოწერის ინიციატივა. როგორც ბატონმა ლაშამ აღნიშნა, მემორანდუმი ითვალისწინებს ახალ შესაძლებლობებს საკანონმდებლო ხელისუფლებასთან აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და დამსწრეებს მოუწოდა ამ შესაძლებლობების გამოყენებისკენ.

საგულისხმოა, რომ ჯგუფის შეხვედრაზე დამტკიცდა მეოთხე სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმა.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა